



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/87

ქ. თბილისი

27 დეკემბერი 2018წ.


სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე სამი სახელობითი სტიპენდიის (ნიკო ნიკოლაძის, დავით სარაჯიშვილის, აკაკი ხოშტარიას) დაწესების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რუსუდან ქუთათელაძის 2018 წლის 21 დეკემბრის №01-09-33/8011 მოხსენებითი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 დეკემბრის №01-06-02/15 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს საკითხი სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისათვის სამი სახელობითი (ნიკო ნიკოლაძის, დავით სარაჯიშვილის და აკაკი ხოშტარიას) სტიპენდიის დაწესების შესახებ, სასწავლო სემესტრის შედეგის შესაბამისად 100 ლარი თვეში, 5 თვის განმავლობაში;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბუკიძე